პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 20 0000649003

31/07/2020

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაშიცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 25 ივლისი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 30 ივლისის №648539 ოქმის მეცამეტე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების დონე/საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით**	**კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის**	**კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის**	**სწავლების ენა**	**ადგილების ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები**
1	რკინიგზის ელექტრო-მომარაგების მეურნეობა (2)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	92	122	ქართული	30	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. №24
2	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი (2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 0732	95	110	ქართული	30	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. №26 ქ. თბილისი, “ველი“ (რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია)
3	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა (2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 0732	79	94	ქართული	60	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. №26 ქ. თბილისი, “ველი“ (რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია)

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.”